ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ბათუმი 2015 წლის 26 მარტი

წინამდებარე მემორანდუმი ფორმდება ერთის მხრივ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და მეორე მხრივ – სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (შემდგომში - „პარტნიორები") შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით. ამასთანავე მემორანდუმი წარმოადგენს შეთანხმებას თანამშრომლობის პრინციპებზე.

I. <u>პარტნიორთა უფლება-მოვალეობები</u>

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:

- სტუდენტებს, დიპლომანტებსა და მაგისტრანტებს შესთავაზებს ქალაქ ბათუმის მერიის მიერ მიწოდებულ თემებს საკურსო, სადიპლომო ან სამაგისტრო ნაშრომის თემებად;
- მერიის პოზიციის გათვალისწინებით ადგენს და აუცილებლობის შემთხვევაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიტანს კორექტივებს საკურსო, სადიპლომო ან სამაგისტრო ნაშრომის „დავალების" შინაარსში, მოცულობასა თუ ფორმატში;
- „დავალებაში" შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს სამუშაოს ციფრულ (ელექრონულ) ფორმატში წარდგენის ვალდებულებას;
- ორგანიზაციულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, დიპლომანტებსა და მაგისტრანტებს მერიის შესაბამის სამსახურებთან სათანადო კომუნიკაციის დამყარებაში;
- მერიის შესაბამისი სამსახურებიდან მოითხოვს სათანადო კონსულტაციებსა და აუცილებელ მასალებს სხვადასხვაგვარი დოკუმენტაციის სახით;
- ორგანიზაციული, ტექნიკური თუ სხვაგვარი დაბრკოლების გამოვლენის შემთხვევაში ამის შესახებ დროულად აცნობებს ქალაქ ბათუმის მერიას და შესთავაზებს საკუთარ მოსაზრებას პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის;
- შემფასებელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროების შემთხვევაში მიიწვევს მერიის წარმომადგენელს (წარმომადგენლებს);

- უსასყიდლოდ (საჩუქრად) გადასცემს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ერთობლივად შერჩეულ საკურსო, სადიპლომო ან სამაგისტრო ნაშრომებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია:

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შესთავაზებს თემებს საკურსო, სადიპლომო და სამაგისტრო ნაშრომებისათვის;
- მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ მოთხოვნებს, პარამეტრებსა და პირობებს საკურსო, სადიპლომო ან სამაგისტრო ნაშრომის „დავალების" შედგენისათვის;
- საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტების, დიპლომანტებისა და მაგისტრანტების ხელმისაწვდომობას მერიის ყველა იმ რესურსზე (სხვადასხვა სახის ტექსტური და გრაფიკული მასალები, კონსულტაციები, რეკომენდაციები და ა.შ.), რაც შესაძლოა აუცილებელი იყოს მათი დავალების შესასრულებლად;
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თხოვნის შესაბამისად მიავლენს თავის წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) შემფასებელი კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად;
- ოფიციალურად ჩაიბარებს საკურსო, სადიპლომო და სამაგისტრო ნაშრომს;
- საჩუქრად მიღებული მასალების გამოყენებისას დაიცავს საავტორო უფლებებს; კერძოდ – მასალების პუბლიკაციის შემთხვევაში მითითებული იქნება სტუდენტის (დიპლომანტის, მაგისტრანტის) და პედაგოგის ვინაობა;
- ორგანიზაციული, ტექნიკური თუ სხვაგვარი დაბრკოლების გამოვლენის შემთხვევაში ამის შესახებ დროულად აცნობებს პარტნიორს – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს და შესთავაზებს საკუთარ მოსაზრებას პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის.

II. <u>მოქმედების ვადა</u>

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 3 წლის განმავლობაში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

გიორგი ერმაკოვი
მერი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი

ერმილე მესხია
რექტორი